giz Office South Caucasus

German Development Cooperation

GIZ Office South Caucasus
Rustaveli Ave. 42 / Griboedov Str. 31a
0108 Tbilisi, Georgia
T +995 32 2201800
F +995 32 2201801

Your reference
Our reference

09.08. 2021

კონკურსის გამოცხადება

Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

Sitz der Gesellschaft Bonn und Eschborn

Friedrich-Ebert-Allee 32 + 36
53113 Bonn, Deutschland
T +49 228 44 60-0
F +49 228 44 60-17 66

Dag-Hammarskjöld-Weg 1 - 5
65760 Eschborn, Deutschland
T +49 61 96 79-0
F +49 61 96 79-11 15

E info@giz.de
I www.giz.de

Amtsgericht Bonn
Eintragungs-Nr. HRB 18384
Amtsgericht Frankfurt am Main
Eintragungs-Nr. HRB 12394

Vorsitzender des Aufsichtsrats
Staatssekretär Martin Jäger

Vorstand
Tanja Gönner (Vorstandssprecherin)
Ingrid-Gabriela Hoven
Thorsten Schäfer-Gümbel

პროექტის დასახელება: **„კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისათვის სამხრეთ კავკასიაში“ (GGLD).**

პროექტის ნომერი: **19.2204.6-005.00**

ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო,

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის დავალებით შპს. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) საქმიანობას ეწევა გერმანია-საქართველოს განვითარების თანამშრომლობის სფეროში.

დაგეგმილი გვაქვს, შევისყიდოთ **მომსახურება საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისგან** დანართი 1 - ის შესაბამისად.

დაინტერესების შემთხვევაში, გთხოვთ, 17.08.2021 -ის 17:00 საათამდე წარმოგვიდგინოთ თქვენი შემოთავაზება <u>**ამობეჭდილი**</u> სახით, <u>2 სხვადასხვა კონვერტში:</u>

I - კონვერტში საფასო შემოთავაზება;
II -კონვერტში - შინაარსობრივი შემოთავაზება;

გთხოვთ, შემოთავაზებები მოგვაწოდოთ **ქართულ და ინგლისურ** ენაზე.
დაგვიანებული შემოთავაზებები არ განიხილება.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ 2013 წლის მაისიდან სსკ–ს 168-ე მუხლის მე–4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება სარგებლობს გადასახადებისგან გათავისუფლებით (დღგ, აქციზი, იმპორტის გადასახადი), შესაბამისად, **ეროვნულ ვალუტაში** წარმოდგენილი

ფასი არ უნდა შეიცავდეს მოცემულ გადასახადებს და ეს მითითებული უნდა იყოს შემოთავაზებაში. შემოთავაზება წარმოდგენილი უნდა იქნეს **ეროვნულ ვალუტაში. სხვა წარმოდგენილი შემოთავაზება არ განიხილება.**

გთხოვთ, კონვერტზე მიუთითოთ შემდეგი ინფორმაცია:

- ორგანიზაციის/ ფირმის დასახელება; (ლათინურად)
- ორგანიზაციის/ ფირმის მისამართი
- საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, საკონტაქტო პირი);
- ტენდერის დასახელება: „**მუნიციპალიტეტების დახმარება 2022-2025 წლების ბიუჯეტირების პროცესში“**
- წარწერა "კონფიდენციალურია";
- გთხოვთ დასვათ ბეჭედი და/ან მოაწეროთ ხელი დალუქვის ადგილას.

გთხოვთ, შემოთავაზება დაიტანოთ თქვენი ორგანიზაციის ლოგოიან თავფურცელზე, დასვათ ბეჭედი და ხელმოწერა.

აგრეთვე მიუთითოთ შემდეგი მისამართი:

GIZ-ის სამხრეთ კავკასიის ოფისი

რუსთაველის 42 / გრიბოედოვის 31ა, 0108 თბილისი, მე -3 სართული.
მიუთითეთ **პროგრამის ნომერი: 19.2204.6-005.00**
და აგრეთვე **ტენდერის ნომერი: 83388210**

დანომრეთ კონვერტები: **(I - საფასო შემოთავაზება; II - შინაარსობრივი შემოთავაზება).**

შეკითხვები პროცედურული თუ ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ტენდერის დასრულებამდე არაუგვიანეს **2 დღისა**, https://etenders.ge/ და https://tenders.ge/ -ზე განთავსებული კითხვა/პასუხის მოდულის გამოყენებით, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის და წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას.

წესების დარღვევის შემთხვევაში თქვენი შემოთავაზება არ იქნება განხილული.

შემოთავაზებების შეფასება სავარაუდოდ დამთავრდება 20.08.2021 -თვის.
დაკავშირება მოხდება მხოლოდ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან

პატივისცემით,

GIZ ის საქართველოს ოფისის
ხელშეკრულებების და შესყიდვების განყოფილება

<u>**დანართი**</u>

1. ტექნიკური დავალება
2. შემოთავაზებების შეფასების ზოგადი სქემა
3. შემოთავაზებების შინაარსობრივი შეფასების სქემა
4. ხელშეკრულების ზოგადი პირობები

<u>**დანართი 1 - ტექნიკური დავალება**</u>

იხილეთ თანდართული ფაილი- (**Annex 1**)

<u>**დანართი 2 - შემოთავაზებების შეფასების ზოგადი სქემა**</u>

შემოსული შემოთავაზებების შეფასება მოხდება როგორც ფასების, ასევე შინაარსის მიხედვით.

შინაარსობრივი შეფასების შემდეგ გაიხსნება და განიხილება წარმომდგენი ორგანიზაციების საფასო შემოთავაზებები. საფასო შეთავაზება მკაფიოდ და დეტალურად უნდა აღწერდეს ყველა სახის ხარჯს, რომელიც ამ ტექნიკური დავალების მიხედვით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელებისთვის უნდა იქნას გაწეული.

საბოლოო შეფასებაში **შინაარსობრივი/საგნობრივი შეფასება შევა 70%-ით** და **ფასი/ღირებულება 30%** -ით.

მიღებული შედეგების მიხედვით პრეტენდენტებს პროგრამულად მიენიჭებათ რიგობრივი ნომერი. საუკეთესო მაჩვენებლის მქონე პირთან დაიწყება მოლაპარაკებები ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე. თუ მოლაპარაკებები არ დამთავრდა წარმატებით, მაშინ მოლაპარაკებები განახლდება რიგით მეორე კანდიდატთან.

<u>**დანართი 3 - შემოთავაზებების შინაარსობრივი/საგნობრივი შეფასების სქემა**</u>

შემოთავაზების შინაარსობრივი ნაწილი უნდა მოიცავდეს
თანდართულ ტექნიკურ დავალებაში მითითებულ ინფორმაციას.

არასაფასო კრიტერიუმები თავის მხრივ დაიყოფა წინასწარ განსაზღვრული შეწონვის კოეფიციენტების მიხედვით. **იხილეთ თანდართული ფაილი (Annex 3).**

<u>**დანართი 4 - შესყიდვის სტანდარტული პირობები**</u>

გთხოვთ გაეცნოთ შესყიდვის სტანდარტულ პირობებს, რომელიც შემდგომში გამარჯვებულ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. **იხილეთ თანდართული ფაილი (Annex 4).**